დანართი №4

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ
სსიპ ქალაქ თბილისის N122 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი

წევრები:

- ვერიკო ჭიღლაძე (ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)
- ზაირა ბერიძე (დარგის ექსპერტი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ ქალაქ თბილისის N122 საჯარო სკოლა**
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
საიდენტიფიკაციო კოდი: **204863255**

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 24 ივნისის MES 1 24 0000739461ბრძანების საფუძველზე შექმნილ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (ჯგუფის თავმჯდომარე - ქეთევან ბოტკოველი, ჯგუფის წევრი - ვერიკო ჭიღლაძე, ზაირა ბერიძე) დაევალა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "სასტუმრო მომსახურება" დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასების მიზნით, ვიზიტის განხორციელება სსიპ ქალაქ თბილისის N122 საჯარო სკოლაში2024 წლის 11-12 ივლისს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრებს შორის საკითხების განხილვა/შეჯერება, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ავტორიზაციის სტანდარტებთან/კომპონენტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
1) დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.1) დაწესებულების მისია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) დაწესებულების სტრატეგიული განვითარება	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	
4) ადამიანური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	
5.2) საინფორმაციო რესურსები	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	
5.3) ფინანსური რესურსები	არ ფასდება (შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასტუმრო მომსახურება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ გამოვლენილა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ა. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა სტანდარტების 1.1.; 3.1. და 4.1. კომპონენტებთან მიმართებით **ინდიკატორის მითითებით.**

ინდიკატორები: 4.1.1.1; 4.1.1.2. - დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალის მოძიება პროფესიული განათლების მიმართულებით და ორგანიზაციული სტრუქტურისა და დოკუმენტების განახლება სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 17.06.2024 - 17.12 2025 (18 თვე)

ბ. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

ინდიკატორი: 2.2.1.1. - უზრუნველყოს საგანმანათლებლო სივრცეების აღჭურვა შესაბამისი მატერიალური რესურსით - სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 17.06.2024-17.12.2024 (6 თვე).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 20.06.2024 წლის N 714411 კორესპონდენცია, რომლის ადრესატია „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი (კორესპონდენციის ასლი გაგზავნილია ასევე სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან) კორესპონდენციით დასტურდება, რომ სამინისტრო იღებს ვალდებულებას და იძლევა გარანტიებს, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შეძენის პროცესს განახორციელებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, რომელიც შესყიდვების დასრულების შემდგომ გადასცემს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, რათა სასწავლო პროცესის დაწყების მომენტისათვის, ყველა სკოლა აღჭურვილ იყოს ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამისად. პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად სკოლას არ ჰყავს პარტნიორი ორგანიზაცია.

ინდიკატორი: 2.2.1.3 - უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებლებისთვის ტრენინგების დაგეგმვა/განხორციელება, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 17.06.2024-17.12.2024 (6 თვე).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტებისათვის მოწოდებულ იქნა ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს 2024 წლის 24 ივნისის №739114 წერილი, რომლის შესაბამისადაც, სააგენტო აგრძელებს იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან მუშაობას, რომლებმაც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინეს ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მოსაპოვებლად საავტორიზაციო განაცხადი, როგორც მასწავლებლების მოძიების, ისე მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით.

ინდიკატორი: 2.2.1.5. - უზრუნველყოს დამატებითი საგანმანათლებლო რესურსების მოძიება/თარგმნა - სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 17.06.2024-17.12.2024 (6 თვე).

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ა. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა სტანდარტების 1.1.; 3.1. და 4.1. კომპონენტებთან განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებლობის შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

ინდიკატორი: 1.1.1.3 - ხედვაში, სასურველია განსაზღვრული იყოს სკოლის მისწრაფებები ანუ როგორ ხედავს სკოლა საკუთარ თავს, სასურველ მომავალს, დროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ. ხედვის ჩამოყალიბებაში სკოლას დაეხმარება შემდეგი კითხვები: როგორი იქნება სკოლის გარემო, თუ მისია იქნება მიღწეული? რა წარმატებას მიაღწევს სკოლა მისიის შესრულების შემთხვევაში?

ბ. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან მიმართებით, განსავითარებლად და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებლობის შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

ინდიკატორი: 2.2.1.1. გამომდინარე იქიდან, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინეული გარკვეული სწავლის შედეგების მისაღწევად და ცოდნისა და უნარების განვითარებისთვის უმჯობესია სასტუმროში არსებული ცოცხალი სამუშაო გარემო, **ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია ითანამშრომლოს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანზაციებთან.**

ინდიკატორი: 2.4.1.1. - სასურველია მოდულების თანმიმდევრული განაწილება მოხდეს პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, მეტად ლოგიკური თანმიმდევრობით, მაგალითად მოდული"სასტუმრო პერსონალისა და ადმინისტრაციული პროცესების უზრუნველყოფა", იყოს წინმსწრები მოდული, „სასტუმროს დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურების უზრუნველყოფის", "სასტუმროს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფისა" და ასევე, "სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფის" მოდულების, რადგან აღნიშნული მოდული მოიცავს ისეთი ტიპის ინფორმაციას, რაც წარმოადგენს შემდგომ მოდულებში გაწერილი სწავლის შედეგების მიღწევის საფუძველს.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;

სსიპ - ქალაქ თბილისის N122 საჯარო სკოლის მისიაა: ,,ჩვენ ვზრუნავთ საკუთარ და სხვათა პიროვნულ, აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაზე, რათა ჩამოვყალიბდეთ ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე საზოგადოებად. ჩვენ ორიენტირებულები ვართ განვახორციელოთ როგორც ზოგადსაგანმანათლებლო ისე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მრავალფეროვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რითაც ხელს შევუწყობთ შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადებას, ინდივიდის დასაქმებასა და თვითდასაქმებას.“

წარმოდგენილი სკოლის მისია შეესაბამება როგორც ზოგადი განთლების ეროვნულ მიზნებს, ასევე პროფესიული განათლების მიზნებსაც. კერძოდ მისიით განსაზღვრულია როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მრავალფეროვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება და მოსწავლეებისთვის უწყვეტი პროფესიული განათლების მიღების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებლობის მიცემა, ასევე ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე პირის აღზრდა, რაც ორივე მიმართულებით მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან;

როგორც უკვე აღინიშნა (1.1.1.1.) სკოლის მისიაში ცალსახად არის წარმოდგენილი დაწესებულების ძირითადი პროფილი, რაც გამიხატება როგორც ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების ასევე, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში. .მასში ლაკონურად და გასაგებად არის წარმოდგენილი დაწესებულების მთავარი როლიც - ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე პირის აღზრდა, რომელიც შეძლებს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზებას ორივე მიმართულებით და პიროვნული ფასეულობებითა და მიღებული ცოდნით თანამედროვე შრომის ბაზრის გამოწვევების გამკლავებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;

დაწესებულების ხედვაა:

მომდევნო 7 წლის განმავლობაში სასკოლო საზოგადოების მთავარი საზრუნავი იქნება:

- სწავლა-სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა;
- სასკოლო გარემოს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა;
- თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;
- უსაფრთხო ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ინკლუზიური გარემოს შექმნა;
- ეროვნულ ღირებულებებზე დაფუძნებული დემოკრატიული განათლების უზრუნველყოფა;
- მშობელთა ჩართულობის გაზრდა ყველა მიმართულებით.
- პროფესიული სტუდენტების დასაქმებასა და თვითდასაქმებაზე ორიენტირებულობა

ხედვაში, სკოლის ყურადღება გადატანილია, იმ ძირითად საქმიანობაზე, რომელიც მას განსახორციელებელი აქვს, მისიით გაცხადებული მიზნების მისაღწევად. ამ საკითხთან მიმართებით სკოლას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია - **ხედვაში, სასურველია განსაზღვრული იყოს სკოლის მისწრაფებები ანუ როგორ ხედავს სკოლა საკუთარ თავს, სასურველ მომავალს, დროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ. ხედვის ჩამოყალიბებაში სკოლას დაეხმარება შემდეგი კითხვები: როგორი იქნება სკოლის გარემო, თუ მისია იქნება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიღწეული? რა წარმატებას მიაღწევს სკოლა მისიის შესრულების შემთხვევაში?

მისისთან და ხედვასთან ერთად სკოლას შემუშავებულია აქვს ის ღირებულებები, რომლებიც, მათი მუშაობის ძირითად პრინციპებს წარმოადგენს. ეს გახლავთ:

- თანამშრომლობა;
- ურთიერთპატივისცემა;
- ტოლერანტობა;
- გუნდურობა;
- ინოვაციურობა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

წარმოდგენილი სამუშაო ჯგუფის ოქმით (2024 წლის 06 ივნისი), ასევე პედსაბჭოსა და სამეურვეო საბჭოს ოქმებით (2024 წლის 10 ივნისი) დასტურდება, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რაც განსაზღვრულია ასევე სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ სიტუაციურ ანალიზზე დაყრდნობით განხორციელდა არსებული მიზნების გადახედვა/დახვეწა. ამ მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, ხოლო პროცესის სრულყოფილად წარმართვაზე პასუხისმგებელი იყო სკოლის დირექცია, რომელმაც აკადემიურ პერსონალთან, დასაქმებულებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციების შედეგად მიღებული უკუკავშირების გათვალისწინებით ჩამოაყალიბა მიზნების, ხედვისა და ღირებულებების საბოლოო რედაქცია. გასაჯაროების მიზნით, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე https://shorturl.at/hotXy და გამოკრულია სკოლის ფოიეში თვალსაჩინო ადგილზე. **.ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის ვებგვერდი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- სამუშაო ჯგუფის ოქმი;
- სსიპ - ქალაქ თბილისის N122 საჯარო სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა 2023-2030 წლები
- ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით N 2-232 (2024 წლის 14 ივნისი) დამტკიცებულია სსიპ-ქალაქ თბილისის N122 საჯარო სკოლაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება, რომელიც შემუშავებულია განათლების ხარისხის განვითარების შესახებ საქართველოს კანონის, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, სკოლის შინაგანაწესის საფუძველზე და რომელშიც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად დეტალურადაა გაწერილი რეგულაციები, რომლებიც სრულად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვასა და გარანტიებს. დოკუმენტში აღწერილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი და ორგანიზების საკითხები, აპლიკანტთა შერჩევის წესები, სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციისა და მხარდაჭერის ღონისძიებები, ტესტირების ორგანიზების საკითხები, კოლეჯში ჩარიცხვის მიდგომები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურა და შესაბამისი კომისიის შექმნისა და მუშაობის პრინციპები და სხვა. დებულებით (მუხლი 39), კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის წესები, პროფესიულ სტუდენტთა შიდა და გარე მობილობის პროცედურები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის №198/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული სტუდენტის მობილობის წესით“ განსაზღვრულ დებულებებთან. დებულებით დარეგულირებულია ასევე ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების საფუძვლები, ფორმალური განათლების აღიარების ეტაპები და ვადები, რაც ასევე შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიებულ „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესთან.“

დაწესებულებამ წარმოადგინა, ასევე დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N 2-232 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი „პროფესიული სტუდენტის უფლებები”, რომლითაც განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა ვალდებულებები, უფლებები, დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები და წახალისების ფორმები, ასევე სკოლასა და პროფესიულ სტუდენტს შორის დასადები ხელშეკრულების ფორმა (მათ შორის არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში). ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებაში გარანტირებული იქნება სტუდენტის უფლებების დაცვა. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;

როგორც უკვე აღინიშნა (3.1.1.1.) დაწესებულებას შემუშავებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტები, რომელთა გათვალისწინებითაც დაცული იქნება პროფესიული სტუდენტთა უფლებები და კანონიერი ინტერესები.

დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით განსაზღვრულია, პროფესიული სტუდენტებთან შეხვედრების პერიოდულობა. მაგ: ჩარიცხვისას, სასწავლო პროცესის დაწყებამდე, სკოლამ უნდა უზრუნველყოს საორიენტაციო და საინფორმაციო შეხვედრების მოწყობა. ამ მიზნით, ახალი პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების პროცესის ორგანიზება ევალება სასწავლო პროცესის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს (მოვალეობა დაკისრებული აქვს დირექტორი მოადგილეს), რომელიც პროფესიულ სტუდენტებს გააცნობს დაწესებულების პერსონალს, მიაწვდის ამომწურავი ინფორმაციას სასწავლო პროცესისა და პროფესიული სტუდენტის უფლება/მოვალეობების შესახებ. მასვე ევალება სასწავლო პროცესის დაწყებამდე, „ბუკლეტის“ შემუშავება, სადაც თავმოყრილი იქნება ყველა ინფორმაცია სერვისების სახეებისა და განმახორციელებელი პერსონალის შესახებ. დებულების თანახმად, აღნიშნული „ბუკლეტი“ პროფესიულ სტუდენტს გადაეცემა დაწესებულებაში გამოცხადებისთანავე, რაც დაეხმარება მას, საკუთარი **უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების გარკვევასა და შემდგომ გამოყენებაში.** დებულება ითვალისწინებს ასევე სასწავლო პროცესის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებთან გაერთიანებული შეხვედრების ციკლის ჩატარებას სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში, თვეში არანაკლებ ერთხელ. რაც უზრუნველყოფს სრულფასოვან თანამშრომლობას, სადაც განიხილება პროფესიული სტუდენტის უფლებები. **აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით (თავი III. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესი, თავი IV. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განორციელება, თავი VI. პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასება) დეტალურად არის განსაზღვრული პროფესიული სტუდენტის შეფასების სახეები, შეფასების ინსტრუმენტისა და მისი შემუშავების პროცედურა, შეფასების მიდგომები. განსაზღვრულია ასევე პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების და მის მიერ მიღებული განათლების აღიარების წესები და პროცედურები. ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია შეფასების გასაჩივრების მექანიზმები და სწავლის შედეგების შეფასების აპელაციის პროცეურა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დებულება ითვალისწინებს ასევე სასწავლო პროცესის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებთან გაერთიანებული შეხვედრების ციკლის ჩატარებას, სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში, მათთვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა: პროფესიული სტუდენტის უფლებები, შეფასების მიდგომები. შეფასების სახეები, შეფასების გასაჩივრების მექანიზმები, შეფასების აპელაციის პროცედურული საკითხები, შედეგების განმეორებით დადასტურების უფლება და სხვა. დოკუმენტში ხაზგასმულია პროფესიულ სტუდენტთათვის კონსულტირების ჩატარების მნიშვნელობა, რისი ვალდებულებაც, პროფესიული მასწავლებლის უფლება-მოვალეობებშიც არის გაწერილი.

როგორც უკვე აღინიშნა დებულება განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს **პროფესიული სტუდენტების ინფორმირებულობას, შეფასების სისტემის შესახებ.**

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ნიმუშის გათვალისწინებით, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების 28 მუხლით, დგინდება, რომ პროფესიულ სტუდენტთან/არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთან ხელშეკრულებები გაფორმდება წესების დაცვით. კერძოდ, სათანადო დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ დირექტორსა და პროფესიულ სტუდენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება. რომელიც იდება ერთხელ და მოქმედებს სწავლების მთელი დროის განმავლობაში. ხელშეკრულების საკითხები მოიცავს: ხელშეკრულების საგანს - პროგრამის დასახელებას, რომელზეც პროფესიული სტუდენტი არის ჩარიცხული, მხარეთა უფლებებს და ვალდებულებებს, სწავლების საფასურს/გადახდის პირობებს, სამართლებრივი აქტების ჩამონათვალს, რომელსაც უნდა ემორჩილებოდეს პროფესიული სტუდენტი სწავლის პერიოდში, ხელშეკრულების მოქმედების ვადას და მისი შეწყვეტის წესს და სხვა დებულებებს. დაწესებულებას განსაზღვრულია აქვს ასევე, არასრულწლოვან ან ს სსმ/შშმ პროფესიული სტუდენტთან ხელსეკრულების გაფორმების სპეციფიკაც, რა დროსაც, დირექტორის მიერ ჩარიცხვის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ, არასრულწლოვნის/შშმ/სსმ პირის შემთხვევაში, მის კანონიერ წარმომადგენელთან ფორმდება ხელშეკრულება, ხოლო დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას ხელს აწერს დირექტორი და სრულწლოვანი პროფესიული სტუდენტი. წარმოდგენილი ხელშეკრულების ფორმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შინაარსი არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობისა და სკოლის შიდა მარეგულირებელი აქტებით გასაზღვრულ დებულებებს და მასში დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები.აღნიშნულიდად გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულება თავის საქმიანობას განახორციელებს აღნიშნული წესის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების 71-ე მუხლში აღწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა ის შემთხვევა, როდესაც პროფესიული სტუდენტის სწავლება შეუძლებელია სტანდარტული სასწავლო გეგმით. ეს შეიძლება იყოს: პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა, პროფესიული სტუდენტის შიდა ან გარე მობილობა, მიღებული ფორმალური განათლების აღიარების შემდგომ სწავლის გაგრძელება, მიღებული არაფორმალური განათლების აღიარების შემდგომ სწავლის გაგრძელება და სსსმ და შშმ პირთა სწავლება.

მეთოდოლოგიის თანახმად, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის პროექტს პროფესიული სტუდენტისათვის შეიმუშავებს სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი, პროგრამის ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან ერთად, პროფესიული სტუდენტის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებლების მონაწილეობით.დოკუმენტით განსაზღვრულია ასევე სსსმ და შშმ პირთა სწავლების სპეციფიკა, პროცედურები, გეგმის შემუშავებაში ჩართული პირების შემადგენლობა, მათ შორის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავებაში პროფესიულის სტუდენტის მონაწილეობის, მასთან და/ან მის კანონიერ წარმომადგენლთან გეგმის შეთანხმების ვალდებულება. დებულებაში განხილულია ის შემთხვევაც, როცა დაწესებულება და პროფესიული სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი ვერ აღწევენ თანხმობას ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით და დადგენილია, რომ ამ შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უჩერდება სტატუსი და უფლება აქვს ისარგებლოს შიდა ან გარე მობილობით, კანონმდებლობითა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულება შეძლებს უზრუნველყოს **პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების დაკმაყოფილება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
- სკოლასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა (მათ შორის არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში);
- 2024 წლის 14 ივნისის N2-234 სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 12 ივნისის ბრძანებით №101/ნ, ცვლილება შევიდა „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 ოქტომბრის №448 ბრძანებაში და სკოლა უფლებამოსილი გახდა დამოუკიდებელი იურიდიული პირის შექმნის გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, განახორციელოს საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, პროფესიული მომზადების პროგრამა ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამა“ (მუხლი 2[1] სკოლის მიერ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, პროფესიული მომზადების პროგრამის ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელება), სსიპ - ქალაქ თბილისის N122 საჯარო სკოლამ მიიღო გადაწყვეტილება განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“. ამ მიზნით, აღნიშნული ბრძანების თანახმად და სკოლის წესდების შესაბამისად დირექტორი შეიმუშავებს საშტატო განრიგს და ათანხმებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან.

ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა, დაწესებულების მიერ შემუშავებული და დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N2-234 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი - „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ რომელშიც განსაზღვრულია დაწესებულებაში არსებული სტრუქტურული ერთეულების, პირების ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. მათ შორის არის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი პირის, პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლის და პროფორიენტაციასა და კარიერის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. რამდენადაც, აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითად და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას, დაწესებულება გეგმავს გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვითშეფასებასთან ერთად წარმოდგენილი, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 14 ივნისი 2-239 ბრძანებით პერსონალის მოძიება და ორგანიზაციული სტრუქტურისა და დოკუმენტების განახლება დაიგეგმა 17.06.2024 - 17.12 2025 ვადაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაციები: - უზრუნველყოს პერსონალის მოძიება პროფესიული განათლების მიმართულებით და ორგანიზაციული სტრუქტურისა და დოკუმენტების განახლება სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 17.06.2024 - 17.12 2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი.

2. დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

„პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელი დოკუმენტში აღწერილი, სტრუქტურული ერთეულების, პირების ფუნქცია-მოვალეობები არ დუბლირდება, მაგრამ დოკუმენტში განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები სრულად ვერ უზრუნველყოფს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას პროფესიული მიმართულებით. აქედან გამომდინარე, როგორც უკვე აღინიშნა (იხ. 4.1.1.2.) დაწესებულება გეგმავს გადახედოს და განავითაროს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა პროფესიულ განათლებასთან მიმართებით, რაც გაიწერა დაწესებულების მიერ შემუშავებულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში და შესაბამისად **დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაციები: - უზრუნველყოს პერსონალის მოძიება პროფესიული განათლების მიმართულებით და ორგანიზაციული სტრუქტურისა და დოკუმენტების განახლება სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 17.06.2024 - 17.12 2025**

ინდიკატორი შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი.

3. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-234 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც ეფუძნება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებს და სსიპ- ქალაქ თბილისის N122 საჯარო სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტებს და ხელს უწყობს სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის ახალი კონცეფციის განვითარებას, რაც მოიცავს ძირითად და დამხმარე პროცესების, რესურსების უწყვეტ შეფასება/განვითარების, ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების გზებს.

დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი (დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის ბრძანება N2-235) რომლის მოვალეობებშიც შედის დაწესებულებაში სასწავლო საქმიანობის, მეთოდებისა და რესურსების, აგრეთვე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატური შეფასება და მის განვითარება/განახლებაზე ზრუნვა. „პერსონალის სამუშაო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელი დოკუმენტი, აღწერს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამუშაოს და უფლება მოვალეობებს, რომელიც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-234 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“;
- დაწესებულების სტრუქტურა;
-
- სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-234 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-235 ბრძანება ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ.

4.1.2 დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;
2. დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შრომით საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები დაწესებულების თანამშრომლებთან, რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“, შინაგანაწესით, თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებით და სხვა მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად. დაწესებულებაში შემუშავებულია პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N 2-233 ბრძანებით. პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი აყალიბებს კვალიფიციური კადრების შერჩევის, დასაქმებისა და შენარჩუნების არსებით საფუძველს და აერთიანებენ პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ პროცედურულ და მარეგულირებელ საკითხებს. დოკუმენტით განსაზღვრულია: პერსონალის მართვის პრინციპები, პერსონალის შერჩევის პროცესი, კონკურსის ჩატარების პროცედურა, თანამშრომლის დაწესებულებაში ინტეგრაციის პროცედურა, პერსონალის შეფასების პროცედურა და მეთოდოლოგია, პერსონალის წახალისება და განვითარება. აღნიშულის გათვალისწინებით, პროფესიული პერსონალის მართვა განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

დაწესებულებაში პერსონალის შერჩევა რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და დაწესებულების შიდა რეგულაციების, მათ შორის, პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის მიხედვით. მართვის პოლიტიკის დოკუმენტით დაწესებულებას დარეგულირებული აქვს ისეთი საკითხები როგორიცაა: მართვის პრინციპები, პერსონალის შერჩევის პროცესი, კონკურსის ჩატარების პროცედურა, თანამშრომლის დაწესებულებაში ინტეგრაციის პროცედურა, პერსონალის შეფასების პროცედურა და მეთოდოლოგია, პერსონალის წახალისება და განვითარება. ვაკანსიაზე კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში დაწესებულება ვაკანსიას გასათავსებლად იყენებს სხვადასხვა შესაძლებლობას. ეს შეიძლება იყოს: დასაქმების პორტალი - hr.gov.ge, ოფიციალურ ფეისბუქ გვერდი, ასევე ინფორმაციის მიწოდება ხდება დასაქმების სააგენტოსთვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულება უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-234 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, რომელშიც გაწერილია სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნები და რომლის შესაბამისად არის დაკომპლექტებული ადმინისტრაციული პერსონალი, რაც დადასტურდა მათი პირადი საქმეების შესწავლით. სკოლაში დასაქმებული ყველა მასწავლებლის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. გარდა მასწავლებლებისა, სხვა პოზიციებზე დასაქმებული პირების კვალიფიკაციაც შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულების პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც განსაზღვრულია როგორც სკოლის ღირებულებებით, ასევე პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტით. ამის დასტურად დაწესებულებამ წარმოადგინა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფების მიერ ჩატარებული სხდომების ოქმები, ასევე პერსონალის სამუშაო აღწერილობები, რითაც ასევე დასტურდება, რომ ფუნქცია მოვალეობები დელეგირებულია და სკოლის მიმდინარე პროცესები ხორციელდება კოლეგიალური პრინციპების გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულების შინაგანაწესი;
- სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-234 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის ბრძანებით N2-234 დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	სასტუმრო მომსახურება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული განათლების დონე	მე-4
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში; Secondary Vocational Qualification in Hotel Service
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ - ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლის დირექტორის №2-238 ბრძანება საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართ(ებ)ი	სსიპ ქ. თბილისის N122 საჯარო სკოლა ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალო, პეტრე ქავთარაძის ქ.42
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	102

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	74
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	132
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	104

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2) საგანმანათლებლო პროგრამები	**☐ შეესაბამება** **■ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **■ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება
ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა ზსდ-ს მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა და პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. დაწესებულების მისიის შესაბამისად იგი მზადა განახორციელოს“... როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მრავალფეროვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რითაც ხელს შევუწყობთ შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადებას, ინდივიდის დასაქმებასა და თვითდასაქმებას“, აღნიშნულიდან გამომდინარე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“ თანხვედრაშია დაწესებულების მისიასთან. ხოლო მისი 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისობას ადასტურებს გეგმაში წარმოდგენილი მეშვიდე მიზანი „შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა/განხორციელება“. პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება წარმოადგენს ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევის პერსპექტივას.

დაწესებულების მიერ დასაბუთება გამყარებულია პირველადი და მეორეული კვლევის შედეგებით. მაგალითად ზსდ-ს მიერ შეხვედრები ჩატარდა და გამოიკითხა მეათე კლასის მოსწავლეები და მათი მშობლები. პროფესიული პროგრამის შერჩევის დროს შესწავლილი იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კვლევები, შრომის ბაზრის ანალიზი და სხვა. დაწესებულების მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასევე მოხდა საქართველოს მასშტაბით მოქმედი დასაქმების პლატფორმაზე არსებული ინფორმაციის ანალიზი. მიზანშეწონილობის დასაბუთებაში წარმოდგენილი მაჩვენებელი ამყარებს პროფესიული პროგრამის განხორციელების საჭიროებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სასტუმრო მომსახურების დაშვების წინაპირობას წარმოადგენს: არაინტეგრირებული სწავლების შემთხვევაში სრული ზოგადი განათლება, ხოლო საშუალო განათლების 10 კლასის განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. სტანდარტით სხვა სახის მოთხოვნები განსაზღვრული არ არის.

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში“ (დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის № 2-228 ბრძანებით) გაწერილია აპლიკანტთა შერჩევის წესი. მის თანახმად საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იმ სასწავლო გეგმით, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს, აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესით, რომელიც არეგულირებს:

- შერჩევის ვადებს და ამ ვადების სარეგისტრაციო სისტემაში ასახვას;
- შეფასების თარიღების შესახებ აპლიკანტთა ინფორმირების ფორმებს;
- შეფასების მეთოდებსა და ეტაპებს;
- შესარჩევი და სააპელაციო კომისიების ფორმირების, მათი მუშაობის, გადაწყვეტილების მიღების წესს;
- აპელაციის წესსა და ვადებს;
- საჭიროების შემთხვევაში აპლიკანტის განსხვავებულ თარიღში შეფასების უზრუნველყოფის წესსა და პირობებს;
- ზსდ-ის მიერ განსაზღვრულ სხვა პირობებს.

აღნიშნული პირობები შესაბამისობაშია და უზრუნველყოფს მიზნობრივის სეგმენტის შერჩევას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში“ (დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის № 2-228 ბრძანებით) რომლის თანახმად გაწერილია თავი X. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. დოკუმენტით გათვალისწინებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნები. დაწესებულების მიერ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- პრაქტიკის ობიექტზე პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის რაოდენობა;
- პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური რესურსი.

დაწესებულების მიერ პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული ოდენობა გნსაზღვრულია 30 სტუდენტით. პროფესოიული საგანმანათლეპლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ განსახორციელებლად გამოყოფილია AB გარემო -1 (თეორიული სწავლებისა და ინფორმაციული წიგნიერების მოდულის განხორციელებისთვის), C გარემო -1 (იმიტირებული პრაქტიკული გარემო), ლაბორატორია -1 (ინტეგრირებული მოდულების განხორიელებისთვის) და საერთო აუდიტორია -1 (სხვა ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის). .დასაბუთება შეესაბამება მეთოდოლოგიას და ექსპერტთა მიერ შესწავლილი რესურსების, დატთვირთვებისა და აუდიტორიების გამტარუნარიანობის გათვალისწინებით რეალისტურია. პროფესიული პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ სასწავლო გარემო იძლევა შესაძლებლობას ერთ ცვლაში ისწავლოს 15 პროფესიულმა სტუდენტმა, ორ ცვლაში 30 პროფესიულმა სტუდენტმა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტებმა ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტაციის შემოწმების საფუძველზე დაადგინეს, რომ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ განხორციელებისთვის საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით აქვს განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის და სასწავლო რესურსის ჩამონათვალი. მოდულებით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი რელევანტურია და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმამანათლებლო რესურსი დაწესებულებას განთავსებული აქვს ბიბლიოთეკაში ელექტრონული სახით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“ მოიცავს არჩევით მოდულს „პრაქტიკული პროექტი: სასტუმრო მომსახურება“, რომელიც მისაღწევი შედეგებით ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში“ (დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის № 2-228 ბრძანებით) რომლის თანახმად მუხლი 5. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება“ კომპონენტ 5.5.-ში გაწერილია, რომ დირექტორის მიერ პროგრამა მტკიცდება ხარისხის უზრუველყოფაზე პასუხისმგებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე .

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“ დამტკიცებულია სსიპ ქ. თბილისის №122 საჯარო სკოლის დირექტორის №2-238 ბრძანებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ სახელწოდება რელევანტურია და შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „სასტუმრო მომსახურება“ (სარეგისტრაციო ნომერი - 10.3.1) საფუძველზე. იგი შემუშავებულია დოკუმენტში „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“ (დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის № 2-228 ბრძანებით) გაწერილი წესის თანახმად. ამასთან, ინტეგრირებული პროგრამა შესაბამისობაშია 2019 წლის 19 აგვისტოს საქართველოს განათლებს , მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №170/ნ ბრძანებით დამტკიცებულ საშუალოპროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესებთან და პირობებთან, ასევე საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანება №95/ნ2024 წლის 7 ივნისს №170/ნ ბრძანებაში შეტანილ ცვლილებებსა და კანონმდებლობით დადგენილ სხვა მოთხოვნებთან.

პროგრამით განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდება (ქართულ და ინგლისურ ენებზე); მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე); მიზანი, დაშვების წინაპირობა; დასაქმების შესაძლებლობები; სწავლის შედეგები.

„სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შემთხვევაში, აერთიანებს 6 ინტეგრირებულ მოდულს 30 კრედიტის ოდენობით, 15 პროფესიულ მოდულს ჯამური 67 კრედიტის ოდენობით, 1 არჩევით მოდულს 5 კრედიტის ოდენობით.საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს 102 კრედიტი. არაინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“ მოიცავს 16 პროფესიულ მოდულს ჯამური 69 კრედიტის ოდენობით, 1 არჩევით მოდულს 5 კრედიტის ოდენობით. საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს 74 კრედიტი.

პროგრამაში ასევე გაწერილია არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის ქართული ენის მოდული გავლის პირობები და ხანგრძლივობა. პროგრამის განხორციელების ენაა ქართული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები;
- 2023-2029 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა (დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 6 სექტემბრის №5 სხდომაზე, ცვლილება დამტკიცებულია: სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 10 ივნისის №5 სხდომაზე)
- პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“ (დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის № 2-228 ბრძანებით);
- პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;
- პროგრამის განხორციელებაში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- არჩევითი მოდული „პრაქტიკული პროექტი - სასტუმრო მპმსახურება“;
- სსიპ ქ.თბილისის №122 საჯარო სკოლის დირექტორის №2-238 ბრძანება საგანმანათლებლო პროგრამის სასტუმრო მომსახურება დამტკიცების შესახებ;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ განხორციელებისთვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული აქვს 30 სტუდენტით, მათ შორის ერთ ჯგუფში მისაღები სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობაა 15.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის დროს შემოწმდა დაწესებულების მიერ პროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილი AB,C და ლაბორატორიული გარემოები, რომელიც არ იყო აღჭურვილი პროგრამის განხორციელებისვის საჭირო მატერიალური რესურსით. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულება პირველად იმატებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას განხორციელების მიზნით.

დაწესებულებას არ ყავს პრაქტიკის განმახორციელებელი პარტნიორი დაწესებულება, რადგან სკოლის ბაზაზე არსებულ C გარემოში იგეგმება სწავლის შედეგების შესაბამისი სასტურმოს სამი განყოფილების მიღება-განთავსების, კვებისა და სასმელების და სამეურნეო სამსახურის (ჰაუსქიფინგი) იმიტირებული გარემოს მოწყობა, აღნიშნულს ხელს უწყობს გამოყოფილი აუდიტორიების ფართი. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინეული გარკვეული სწავლის შედეგების მისაღწევად და ცოდნისა და უნარების განვითარებისთვის უმჯობესია სასტუმროში არსებული ცოცხალი სამუშაო გარემო, **ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია ითანამშრომლოს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანზაციებთან.**

დაწესებულების მიერ თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად ინდიკატორი 2.2.1.1 შეფასებულია მეტწილი შესაბამისობით, „პროფესიული პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ შედეგები მიიღწევა დაწესებულების AB და C ტიპის სასწავლო გარემოში დაწესებულების ბაზაზე არსებული მატერიალური რესურსით. თუმცა, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი ჯერ არ არის სრულყოფილად შესყიდული სკოლის მიერ.“, აღნიშნულთან დაკავშირებით მათ მიერ წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა (დამტკიცებულია სსიპ თბილისის №122 საჯარო სკოლის სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისი №2-239 ბრძანებით), სადაც გაწერილია, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სტანდარტის შესაბამისობაში მოყვანის დრო, პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და რესურსები.

ინდიკატორთან მიმართებით გეგმით გაწერილია შემდეგი აქტივობა და შესაბამისობაში მოყვანის ვადა:

- საგანმანათლებლო სივრცეების გარემოების აღჭურვა შესაბამისი მატერიალური რესურსით - 17.06.2024-17.12.2024 (6 თვე).

შესაბამისობის გეგმის თანახმად მატერიალურ რესურსის შესყიდვა დასრულდება არაუგვიანეს 6 თვის ვადაში ექსპერტების შეფასებით აღნიშნული ინფორმაცია რელევანტურია მოცემულ დროში შესასრულებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია: უზრუნველყოს საგანმანათლებლო სივრცეების აღჭურვა შესაბამისი მატერიალური რესურსით - სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 17.06.2024-17.12.2024 (6 თვე).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 20.06.2024 წლის N 714411 კორესპონდენცია, რომლის ადრესატია „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი (კორესპონდენციის ასლი გაგზავნილია ასევე სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან) კორესპონდენციით დასტურდება, რომ სამინისტრო იღებს ვალდებულებას და იძლევა გარანტიებს, რომ აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შეძენის პროცესს განახორციელებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, რომელიც შესყიდვების დასრულების შემდგომ გადასცემს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, რათა სასწავლო პროცესის დაწყების მომენტისათვის, ყველა სკოლა აღჭურვილ იყოს ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამისად. პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად სკოლას არ ჰყავს პარტნიორი ორგანიზაცია.

ინდიკატორი, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“, განხორციელების მიზნით დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 26 მასწავლებელი, მათ შორის 10 განახორციელებს პროფესიულ მოდულებს, ხოლო 16 პროფესიული მასწავლებელი ინტეგრირებულ მოდულებს. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას და უზრუნველყოფს მდგრადობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერსონალის სამუშაო აღწერილობების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების (დამტკიცებულია სსიპ - თბილისის № 122 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის № 2-234 ბრძანებით) შესაბამისად , დაწესებულებაში გაწერილია პროფესიული განათლების მასწავლებლებლების მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უნარები. აღნიშნულთან შესაბამისობა დასტურდება მათ პირად საქმეში წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით. ექსპერთა ჯგუფის მიერ მოხდა მათი ინტერვიურება. ამჟამად, დაწესებულებაში პროფესიულ მასწავლებლებად შერჩეული ყველა პირი არის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, თუმცა საჭიროებენ გადამზადებას პროფესიული განათლების მიდგომებში, მეთოდოლოგიასა და შეფასების სისტემაში.

დაწესებულების მიერ თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად ინდიკატორი 2.2.1.3 შეფასებულია მეტწილი შესაბამისობით, „ამჟამად, დაწესებულებაში პროფესიულ მასწავლებლებად შერჩეული ყველა პირი არის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, თუმცა, დაგეგმილია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის განვითარება სწავლებისა შეფასების კომპეტენციის გაუმჯობესების მიმართულებით.“, **აღნიშნულთან დაკავშირებით მათ მიერ წარმოდგენილია სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (დამტკიცებულია სსიპ თბილისის №122 საჯარო სკოლის სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისი №2-239 ბრძანებით), სადაც გაწერილია, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სტანდარტის შესაბამისობაში მოყვანის დრო, პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და რესურსები.**

ინდიკატორთან მიმართებით გეგმით გაწერილია შემდეგი აქტივობა და შესაბამისობაში მოყვანის ვადა:

- პროგრამის განმახორციელებლებისთვის ტრენინგების დაგეგმვა/განხორციელება, საჭიროებისამებრ - 17.06.2024-17.12.2024 (6 თვე).

ექსპერტების შეფასებით აღნიშნული ინფორმაცია რელევანტურია მოცემულ დროში შესასრულებლად.

შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია - უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებლებისთვის ტრენინგების დაგეგმვა/განხორციელება, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 17.06.2024-17.12.2024 (6 თვე).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტებისათვის მოწოდებულ იქნა ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს 2024 წლის 24 ივნისის №739114 წერილი, რომლის შესაბამისადაც, სააგენტო აგრძელებს იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან მუშაობას, რომლებმაც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინეს ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მოსაპოვებლად საავტორიზაციო განაცხადი, როგორც მასწავლებლების მოძიების, ისე მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;

დაწესებულებაში განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის ბრძანებით №2-237 დანიშნულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ ხელმძღვანელი. პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ აქვს შესაბამისი უმაღლესი განათლება და პროგრამის განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება, იცნობს პროგრამას, იცის როგორ დაიგეგმოს და სასწავლო გეგმის შესაბამისად განხორციელდეს პროგრამა. აქვს მზაობა პროგრამის ფარგლებში შერჩეული დარგის პერაგოების მხარდაჭერის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო მასალის არსებობა, რის შედეგადაც დადასტურდა, რომ აღნიშნული რესურსები დაწესებულებას განთავსებული აქვს ბიბლიოთეკაში ელექტრონული სახით, რომელიც ხელმისაწვდომია პროფესიული მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის. ბიბლიოთაკაში. ასევე დაწესებულბას საგანმანთლებლო რესურსი განთავსებული აქვს ონლაინ სივრცეში (google drive) და ხელმისაწვდომია ლინკების საშუალებით.

დაწესებულების მიერ თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად ინდიკატორი 2.2.1.5 შეფასებულია მეტწილი შესაბამისობით, აღნიშნულთან **დაკავშირებით მათ მიერ წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა (დამტკიცებულია სსიპ თბილისის №122 საჯარო სკოლის სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისი №2-239 ბრძანებით), სადაც გაწერილია, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სტანდარტის შესაბამისობაში მოყვანის დრო, პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და რესურსები.**

ინდიკატორთან მიმართებით გეგმით გაწერილია შემდეგი აქტივობა და შესაბამისობაში მოყვანის ვადა:

- **დამატებითი საგანმანათლებლო რესურსების მოძიება/თარგმნა - 17.06.2024-17.12.2024 (6 თვე).**

ექსპერტების შეფასებით აღნიშნული ინფორმაცია რელევანტურია მოცემულ დროში შესასრულებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია - უზრუნველყოს დამატებითი საგანმანათლებლო რესურსების მოძიება/თარგმნა - სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 17.06.2024-17.12.2024 (6 თვე).

ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულებას „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში“ (დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის № 2-228 ბრძანებით) გაწერილი აქვს (X თავი) ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების გარემოებები და პროცედურები. დებულებაში განსაზღვრულია სსსმ პირებისათვის, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცედურები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. **დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

სკოლამ აქვს შეიმუშავებული სასტუმრო მომსახურების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, ინტიგრირებული და არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში. როგორც ინტეგრირებული ასევე, არაინტეგრირებული საპროგნოზო ბიუჯეტი შეიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც გათვალისწინებულია შემოსავლებში- ვაუჩერული დაფინანსება. ხარჯებში- პროფესიული მასწავლებლის შრომითი ანაზღაურება და მასალა ნედლეულის ხარჯი. საპროგნოზო ბიუჟეტის მიხედვით პროგრამა მდგრადია, რადგან სავარაუდო ხარჯების ნაწილს ფარავს შემოსავლების ნაწილი. პროგრამის რეალური ბიუჯეტი შედგება პროგრამის ერთი ციკლის დასრულების შემდეგ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შესაბამისობის გეგმა (დამტკიცებულია სსიპ თბილისის №122 საჯარო სკოლის სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისი №2-239 ბრძანებით);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- პირადი საქმეები;
- პროფესიული პროგრამის პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები (დამტკიცებულია სსიპ - თბილისის № 122 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის № 2-234 ბრძანებით) ;
- დირექტორის 2024 წლის 14 ივნისი ბრძანება №2-237 პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ;
- საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების დაწესებულებაში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულება პროგრამის შეფასების საკითხები დარეგულირებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებითა“ (დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის № 2-228 ბრძანებით) და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით (დმტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-234 ბრძანებით). დოკუმენტის თანახმად პროგრამის შეფასებისთვის შეიძლება სხვადასხვა ინდიკატორების გამოყენება, მაგ.:

- პროგრამის პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების დადასტურების მაჩვენებელი (მათ შორის პირველი განმსაზღვრელი შეფასების შედეგები, განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების შედეგები);
- პროგრამაზე ჩარიცხვის დინამიკა (პროფესიული სტუდენტების რაოდენობა რამდენიმე წლის განმავლობაში);
- პროფესიულ სტუდენტთა განთესვის მაჩვენებლები - პროგრამაზე ჩარიცხულთა და პროგრამის კურსდამთავრებულთა თანაფარდობა (რამდენიმე წლის განმავლობაში);
- პროგრამაზე მობილობით გადმოსული და მობილობით გადასული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა და მათი თანაფარდობა (რამდენიმე წლის განმავლობაში);
- პროგრამის დასაქმებული კურსდამთავრებულების საერთო რაოდენობა (წლების მიხედვით);
- პროფესიით დასაქმებული პროგრამის კურსდამთავრებულების რაოდენობა (რამდენიმე წლის განმავლობაში);
- დამსაქმებელთა მიერ მათთან დასაქმებული პროგრამის კურსდამთავრებულების კომპეტენციე- ბის დონის შეფასება და სხვა;

ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი წლის განმავლობაში ადგენს შუალედურ და საბოლოო ანგარიშს პროგრამის შეფასების შესახებ და განსახილვლად წარუდგენს დირექტორს.

დაწესებულებას პროგრამის შეფასების მიზნით შემუშავებული აქვს:

- სასწავლო პროცესზე დაკვირვების ანკეტა;
- მოდულის და პროგრამის შეფასების კითხვარი;
- მასწავლებლების შეფასება სტუდენტის მიერ;
- კურსდამთავრებულთა კვლევის კითხვარი;
- ბიბლიოთეკის შეფასების კითხვარი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილი იქნა შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგია (დამტკიცებულიადირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-230 ბრძანებით). **აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“ (დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის № 2-228 ბრძანებით), სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, განვითარების და გაუქმების მექანიზმები.

დაწესებულების მხრიდან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვება ხდება პირველად, შესაბამისად პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასება და მის შედეგებზე დაყრდნობით პროგრამაში/მოდულებში ცვლლებები არ განხორციელებულა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“ (დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის № 2-228 ბრძანებით);
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით (დმტკიცებულიადირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-234 ბრძანებით);
- დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილი იქნა შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგია (დამტკიცებულიადირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-230 ბრძანებით);
- სასწავლო პროცესზე დაკვირვების ანკეტა;
- მოდულის და პროგრამის შეფასების კითხვარი;
- მასწავლებლების შეფასება სტუდენტის მიერ;
- კურსდამთავრებულთა კვლევის კითხვარი;
- ბიბლიოთეკის შეფასების კითხვარი;
- ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ ინტეგრირებული და არაინტეგრირებული სასწავლო გეგმა. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. ასევე კვირეული დატვირთვის დროს გათვალისწინებულია შესაბამისი წესები და კანონები.

აღნიშული პროგრამის ფარგლებში მოდულებს დაშვების წინაპიროები არ აქვს, **შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია სასურველია მოდულების თანმიმდევრული განაწილება მოხდეს პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, მეტად ლოგიკური თანმიმდევრობით, მაგალითად მოდული“სასტუმრო პერსონალისა და ადმინისტრაციული პროცესების უზრუნველყოფა”, იყოს წინმსწრები მოდული, „სასტუმროს დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურების უზრუნველყოფის“, “სასტუმროს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფისა” და ასევე, “სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფის” რადგან აღნიშნული მოდული მოიცავს ისეთი ტიპის ინფორმაციას, რაც წარმოადგენს შემდგომ მოდულებში გაწერილი სწავლის შედეგების მიღწევის საფუძველს.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

დაწესებულების მხრიდან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვება ხდება პირველად, შესაბამისად დაწესებულების მიერ სასწავლო პროცესის ორგანიზება ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ ისინი სრულ მზადყოფნაში არიან მყისიერი რეაგირება მოახდინონ ყველა შემხვედრ საჭიროებებზე და გაითვაისწინონ სტუდენტთა ინტერესები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

1. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;**

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“ ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს, რომელიც გულისხმობს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ინტერვიუებზე დადგინდა, რომ განმახორციელებლებს აქვთ თანამედროვე ტექნოლოგიების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოყენების, წვდომისა და ინფორმაციის მოპოვების უნარები. დაწესებულების მხრიდან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვება ხდება პირველად, შესაბამისად დაწესებულების მიერ სასწავლო პროცესი ჯერ არ განხორციელებულა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

დაწესებულებას „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში“ (დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის № 2-228 ბრძანებით) გაწერილი აქვს (X თავი) ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების გარემოებები და პროცედურები. დებულების შესბამისად “ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შემუშავდება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც პროფესიული სტუდენტის სწავლება შეუძლებელია სტანდარტული სასწავლო გეგმით, მათ შორის:

ა) პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენისას;

ბ) პროფესიული სტუდენტის შიდა ან გარემო მობილობისას;

გ) მიღებული ფორმალური განათლების აღიარების შემდგომ სწავლის გაგრძელებისას;

დ) მიღებული არაფორმალური განათლების აღიარების შემდგომ სწავლის გაგრძელებისას;

ე) სსსმ და შშმ პირთა სწავლებისას.“

დაწესებულებას სტუდენტთა მიღება ჯერ არ განუხორციელებია, შესაბამისად პრაქტიკაში პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების მაგალითები არ არსებობს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულება არ თანამშრომლობს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულის სწავლის შედეგები მიიღწევა დაწესებულების ბაზაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შექმნილია უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემო. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის საჭირო უსაფრთოხების პირობების შექმნა/დაცვა მოხდება იმიტირებული სასწავლო გარემოს შექმნისას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო გეგმები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“ (დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის № 2-228 ბრძანებით);
- ინტერვიუს შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

დაწესებულებას „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში“ (დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის № 2-228 ბრძანებით) გაწერილი აქვს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა. აღნიშნული თავით რეგულირდება პროფესიული სტუდენტის შეფასების სახეები, შუალედური შეფასების, პროცესი, განმსაზღვრელი შეფასების პროცესი, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება, შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა და შინაარსი, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია, შეფასების ინსტრუმენტის განახლება, შეფასების პროცესის ადმინისტრირება, შეფასების პროცესის აკომოდაცია ან სტანდარტული პროცედურის ცვლილება, პასუხისმგებელი პირები, შეფასების თარიღის შესახებ სტუდენტის ინფორმირება, განმეორებითი გამოცდები, შეფასების შედეგების შესახებ სტუდენტის ინფორმირება, განმსაზღვრელი შეფასების გასაჩივრება (აპელაცია) და სხვა. რეგულაციის თანახმად სკოლა უზრუნველყოფს ვალიდურ, სანდო, ობიექტურ, სამართლიან და გამჭვირვალე შეფასების სისტემის მოქმედებას პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევების შესაფასებლად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში“ (დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის № 2-228 ბრძანებით) გაწერილია .ვერიფიკაციის პროცედურა, მიმართულებები და პრინციპები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ვერიფიკაციის მიზანის, ვერიფიკაციის პროცესის მონაწილეების, ვერიფიკაციის მიმართულებების და მექანიზმების, ვერიფიკაციის პროცესის. ვერიფიკაციის პროცესში მონაწილეობენ პროგრამის ხელმძღვანელი, დარგობრივი/პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირები, შესაძლებელია დარგის მოწვეული სხვა სპეციალისტები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და სხვ. მექანიზზმზე დაყრდნობით ინტერესთა კონფლიქტი არ იკვეთება. დოკუმენტის თანახმად ვერიფიკაციის გეგმის საფუძველზე, ვერიფიკაციის მიმართულებებია: შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

დაწესებულებაში ვერიფიკაცია ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა მისი განხორციელება გაწერილია „ 2024 - 2025 წლის ზსდ - ის პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა პროექტში“

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. **დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების“ (დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის № 2-228 ბრძანებით) თანახმად „შეფასების მტკიცებულებები ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. შემდგომ ხდება მათი განადგურება/უტილიზაცია კანონმდებლობითა და ზსდ-ის მიერ დადგენილი წესით ან რჩება ზსდ-ში საგანმანათლებლო მიზნებისათვის ან გადაეცემა ავტორს“.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დაწესებულება პირველად მოიპოვებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებას, შესაბამისად მას პროფესიულ სტუდენტთა შეფასება ჯერ არ განუხორციელებია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“ (დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის № 2-228 ბრძანებით);
- ინტერვიუს შედეგები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

31.07.2024

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: